

პარამჯიიტ სინგჰ ბერვალი

ხელოვნური ინტელექტის ეთიკის სისტემური შესავალი

აბსტრაქტი

მოცემული სტატიის მიზანია, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც პოლიტიკურ-სოციალურ-სამართლებრივი დატვირთვა აქვს, ხელოვნური ინტელექტის ეთიკის გენეზისისა და ფუნდამენტალური მნიშვნელობის გაგება, მისი კონტექსტუალიზაცია და პერსპექტივაში წარმოდგენა. სტატია განიხილავს ხელოვნური ეთიკის მნიშვნელობას და შესაბამისობას, რბილი სამართლის ფორმასა და ხელოვნური ინტელექტის რეგულირებას, ასევე, თუ რა როლს ასრულებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო პირები მისი ფორმულირების პროცესში, მეტწილად ორ ძირითად სფეროში - ციფრულ ეკონომიკასა და სახელმწიფო მართვაში. სტატია ასახავს ხელოვნური ინტელექტის ეთიკის ამჟამინდელ მდომარეობას და ხაზს უსვამს აღნიშნულ სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს. დასკვნის სახით სტატიაში ვკითხულობთ, რომ ხელოვნური ინტელექტის ეთიკა უნდა გასცდეს ტექნიკურ სფეროში არსებულ ძირითად მორალურ პრინციპებსა და ღირებულებების ერთი და იგივეობას, სისტემური სტრუქტურული ცვლილებების დანერგვის გზით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნური ინტელექტის ეთიკა, ევროკავშირი, ხელოვნური ინტელექტის რეგულაციები, ტექნოლოგია.

შესავალი

ფილოსოფიური კონტექსტი

რენე დეკარტი წერდა: „კარგი გონება საკმარისი არაა, მთავარია მისი სწორად გამოყენება იცოდეთ“.¹ ყველაფერი არსებული ² იმ პრინციპებისა და ფასეულობების მიხედვით უნდა იქნას გამოყენებული, რომლებიც ადამიანებისთვისაა ძვირფასი.³ რაინჰოლდ ნიშურის 1932 წელს გამოქვეყნებული „მორალური ადამიანი და ამორალური საზოგადოება: ეთიკისა და პოლიტიკის კვლევა“, ადამიანის არსებობის კონტექსტში, მორალის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს ეხება.⁴ ადამიანები დიდი ხანია ცდილობენ, როგორმე გადალახონ ის სიცარიელე, რაც „რა არის“ და „რა უნდა იყოს“ შორის არსებობს. ⁵ ზოგიერთმა შედარებით მოქნილი მიდგომაც კი შემოგვთავაზა მორალთან მიმართებაში,⁶ პრობლემურობისა და

¹ დეკარტი, რენე. დისკურსი მეთოდის შესახებ. ნიუ-იორკი, Liberal Arts Press, 1956. ბეჭდური.

² ბაჰში, არჩი ჯეი.: ეთიკა: არსებობის მეცნიერება (ღირებულების საგამოძიებო წიგნი სერია 8). ამსტერდამი / ატლანტა, GA (როდოპი) 1994 წ.

³ იხილეთ მუსტაფა პულტარი, ღირებულებების სისტემები: ეთიკის მშენებლობის კონცეპტუალური საფუძვლები, <http://pultar.bilkent.edu.tr/Papers/Ethics/Ethics.html#Schwartz>

⁴ ნიშური, რაინჰოლდი. მორალური ადამიანი და ამორალური საზოგადოება: ეთიკისა და პოლიტიკის კვლევა. , ნიუ იორკი: სკრიბნერი, [1960]

⁵ იხილეთ, ბლეკი, მაქს. "სიცარიელე 'არის' და 'უნდა'-ს შორის". ფილოსოფიური მიმოხილვა, ტ. 73, no. 2, 1964, გვ. 165–181. JSTOR, www.jstor.org/stable/2183334. ნანახია 2020 წლის 10 აგვისტოს.

⁶ Accenture, პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტი და რობოტები, <https://www.accenture.com/gb-en/company-responsible-ai-robotics>

დოგმატურობის თავიდან აცილების მიზნით.⁷ თუმცა, ვინ უნდა გადანყვიტოს? რა უნდა იყოს? კიდევ უამრავი შეკითხვა არსებობს, რომელიც ხაზს უსვამს იმ გზის არსებობას, რომლის დახმარებითაც კაცობრიობა ხელოვნური ინტელექტის მომავლისაკენ მიემართება. მოცემული მტკიცება შესაძლოა ზედმეტად ფილოსოფიურად ჟღერდეს, მაგრამ იგივე ეხება არსებულ კანონმდებლობასაც.⁸ შეიძლება კი არსებობდეს ისეთი ღირებულებები, რომლებიც თანაბრად აღიარებული და აღსრულებადია, პრინციპში, ფართო მასშტაბის მიერ, რომელსაც საზოგადოება ეწოდება და რომელიც თავის თავში მრავალ სხვადასხვაგვარ ადამიანს მოიაზრებს?⁹ თომას ჰობსმა თქვა: მორალური ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება იმის შესახებ, თუ რა არის ცუდი და კარგი ადამიანთა საზოგადოებაში. სიკეთე და ბოროტება, ის სახელწოდებებია, რომლებიც ჩვენს მადასა და ზიზლს გამოხატავენ, რაც თავის მხრივ განსხვავებულია ადამიანთა ხასიათებში, მოძღვრებებსა თუ ჩვეულებებში.¹⁰ ფილოსოფია გვეხმარება შევიმეცნოთ რეალურობის ძირითადი ბუნება.¹¹ შესაძლოა, ის დასკვნითი არ იყოს,¹² თუმცა, ნამდვილად იძლევა მნიშვნელოვან შემეცნებას რეალურობის ფუნდამენტალურობაში.¹³ და ამ შემთხვევაში არც ხელოვნური ინტელექტის ეთიკაა გამონაკლისი.¹⁴

ხელოვნური ინტელექტი და ეთიკა

ევროკომისია ხელოვნური ინტელექტის შემდეგნაირ განმარტებას იძლევა:

„ხელოვნური ინტელექტი ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებიც, გარემოს ანალიზით, ავლენს ინტელექტუალურ ქცევას და, დამოუკიდებლობის გარკვეული დონით, ახორციელებს ქმედებებს კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები შეიძლება იყოს ვირტუალურ სამყაროში სრულად პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული (მაგ.: ხმის ასისტენტები, გამოსახულების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, საძიებო სისტემები, ხმის და სახის ამომცნობი სისტემები) ან შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტი ჩანერგილი იყოს კომპიუტერულ მონოპოლიზებში (მაგ.: განვითარებული რობოტები, ავტომატური მართვის/თვითმართვადი მანქანები, დრონები, საგნების ინტერნეტის აპლიკაციები).¹⁵ ხელოვნური ინტელექტის ტექნიკურ განმარტებას რომ გავცდეთ, უაღრესად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი გულისხმობს გადანყვიტულების მიღების პროცესის ადამიანის გონებიდან ხელოვნურად შექმნილ ინტელექტზე გადაცემას. აღნიშნული სცილდება ავტომატიზაციას და ახდენს ავტონომიურ ხელოვნურ ინტელექტში ჩარევას ადამიანის მითითებით ან მეთვალყურეობით.¹⁶ ადამიანის ზედამხედველობის ასპექტზე შესაძლოა დავა ალოგიკურობის კუთხით,

⁷ ტიმ დინი, ჩვენ არ განვიცდით მორალის ნაკლებობას. ჩვენ ის ზედმეტად ბევრი გვაქვს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018, <https://www.weforum.org/agenda/2018/03/the-greatest-moral-challenge-of-our-time-its-how-we-think-about-morality-itself/>

⁸ რენდი ბარნეტი, რატომ გვჭირდება იურიდიული ფილოსოფია, "სამართლისა და ფილოსოფიის სიმპოზიუმის" წინასიტყვაობა, 8 Harv. J. L. & Pub. Pol'y 1 (1985).

⁹ ოლივერ სკოტ კერი, დენიელ ოსტინ მულისინი და ჰარვი უაითჰაუსი, "კარგია თანამშრომლობა?: მორალის თეორიის ტესტირება, როგორც თანამშრომლობა 60 საზოგადოებაში", მიმდინარე ანთროპოლოგია 60, No. 1 (2019 წლის თებერვალი): 47-69.

¹⁰ ჰობსი, თომას და ჯ. ა. გასკინი. ლევიათანი. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 1998. (თავი 15)

¹¹ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დოდიგ, კრნკოვიჩი ჯ და მარჩინ ჯეი. შროდერი. თანამედროვე ბუნებრივი ფილოსოფია და ფილოსოფიები: ნაწილი 1., ბაზელი, შვეიცარია: MDPI, [2019]

¹² იხილეთ დრეტსკე, ფ. (2000). დასკვნითი მიზეზები. აღქმა, ცოდნასა და რწმენაში: შერჩეული ნარკვევები (კემბრიჯის კვლევები ფილოსოფიაში, გვ. 3-29). კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა. doi: 10.1017/CBO9780511625312.002

¹³ ბრაუნის უნივერსიტეტი, ფილოსოფია, <https://www.brown.edu/academics/philosophy/undergraduate/philosophy-what-and-why/>; See Glattfelder J.B. (2019) Philosophy and Science: What Can I Know?. In: Information—Consciousness—Reality. The Frontiers Collection. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-03633-1_9

¹⁴ მიულერი, ვინსენტ, «ხელოვნური ინტელექტისა და რობოტექნიკის ეთიკა», სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედია (2020 წლის შემოდგომა), ედვარდ ნ. ზალტა (რედაქტორი), URL = <<https://plato.stanford.edu/archives/fall2020/entries/ethics-ai/>>.

¹⁵ ევროპის პარლამენტის კომისია, ევროპის საბჭო, საბჭო, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და ევროპის რეგიონალური ხელოვნური ინტელექტის კომიტეტი, ბრიუსელი, 25.4.2018 COM (2018) 237 საბოლოო.

¹⁶ პარამჯიტი სინგჰ ბერვალ, ევროკავშირის სამართლებრივი ლანდშაფტი და ხელოვნური ინტელექტი, ევროპის-მცოდნეობის ქართული ჟურნალი, No. 4-5, 2018-2019, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

რადგან ის ან არაეფექტურია ან უბრალოდ იურიდიული ფიქციაა. ხელოვნური ინტელექტი ნამდვილად გამოწვევაა კაცობრიობისთვის.¹⁷ მიუხედავად ამისა, ევროკომისიის მიერ ორგანიზებულმა მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფმა მისი დეფინიცია შემოგვთავაზა ჯგუფის წარდგენის მიზნით.¹⁸

ხელოვნური ინტელექტის გენეზისი¹⁹ არამხოლოდ ეთიკური დილემებით არის სავსე, არამედ მისი განვითარება და გამოყენება კიდევ უფრო მკაცრ ეთიკურ და მორალურ წნეხს განიცდის.²⁰ ხელოვნური ინტელექტის მომავალი, კიდევ უფრო არსებითია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.²¹ ევროკავშირი მეტწილად კონცენტრირებულია, ადამიანზე ორიენტირებულ ხელოვნურ ინტელექტზე.²² ამავდროულად, ევროკავშირის ინფორმირებულობამ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური რისკების შესახებ, კიდევ უფრო მეტი ბიძგი მისცა მის სანდოობას.²³ სწორედ, ეს გარემოება, თუ როგორ და რისთვის აპირებს ევროკავშირი ჩაერთოს ხელოვნური ინტელექტის სფეროში განვითარებულ მოვლენებში, მიუთითებს იმაზე, რომ ხელოვნური ინტელექტის ფორმირების პროცესში ეთიკა მნიშვნელოვანი ხდება.²⁴ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ხელოვნური ინტელექტის ეთიკის მიმართ ზედმეტ ყურადღებასაც კრიტიკულად უყურებს,²⁵ ევროკავშირი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის მომავალი, მის ღირებულებებსა და პრინციპებთან შესაბამისობაში მოდის, რაც თავის მხრივ ორგანიზაციის სამართლებრივ და პოლიტიკურ საქმეებშია გათვალისწინებული.²⁶

წარსულში, ზოგიერთი ადამიანი ირწმუნებოდა, რომ ტექნოლოგია უკონტროლოდ ვრცელდებოდა, რასაც შემდგომში არც თუ ისე კარგი შედეგები მოჰყვა.²⁷ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც დღევანდელ დღეს ხელოვნური ინტელექტის ეთიკა წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკისა და რეგულირების დისკურსის საფუძველს. პოზიტიური შინაარსის დაპირებები, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას აძლევს, იწვევს მღელვარებას იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც რეგულა-

ვერსიტეტის გამომცემლობა, 2019

¹⁷ სტენფორდის უნივერსიტეტი, საზოგადოებაში ეთიკის მაკკოის სახელობის საოჯახო ცენტრი, იუვალ ნოე ჰარარი-სა და ფეი-ფეი ლის დიალოგი, მოდერატორი ნიკოლას ტომფსონი, აპრილი 22, 2019, <https://ethicsinsociety.stanford.edu/events/yuval-noah-harari-conversation-fei-fei-li-moderated-nicholas-thompson>

¹⁸ ხელოვნური ინტელექტის ექსპერტთა მაღალი დონის ჯგუფი, ევროპის კომისია, ხელოვნური ინტელექტის განსაზღვრება: ძირითადი შესაძლებლობები და დისციპლინები, აპრილი, 2019.

¹⁹ რასელი, სტიუარტ ჯ. და პიტერ ნორვიგი. 2010. ხელოვნური ინტელექტი: თანამედროვე მიდგომა. მე -3 გამოცემა, Upper Saddle River, ნიუ – იორკი: Prentice-Hall.

²⁰ იხილეთ, რ, ჰიბარდი, ბილი. 2012. «ხელოვნური ინტელექტის არასასურველი ქცევის თავიდან აცილება». ზოგად ხელოვნურ ინტელექტში: მე –5 საერთაშორისო კონფერენცია, AGI 2012, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი, 8–11 დეკემბერი, 2012 წ. ლექციის ჩანაწერები ხელოვნური ინტელექტის შესახებ 7716. New York: Springer. doi: 10.1007 / 978-3-642-35506-6_12; სტიუარტ რასელი, დენიელ დიუი, მაქს ტეგმარკი, კვლების პრიორიტეტები ძლიერი და სასარგებლო ხელოვნური ინტელექტისთვის, ხელოვნური ინტელექტის განვითარების ასოციაცია, WINTER 2015, AI ჟურნალი, https://futureoflife.org/data/documents/research_priorities.pdf

²¹ ფლორიდი, ლ. რა შეიძლება იყოს ხელოვნური ინტელექტის უახლოესი მომავალი. ფილოსოფია. ტექნოლო 32, 1–15 (2019). <https://doi.org/10.1007/s13347-019-00345-y>

²² გონსალო კარიჩო, ევროკავშირი და ხელოვნური ინტელექტი: ადამიანზე ორიენტირებული პერსპექტივა, ევროპული ხედვა, SAGE ჟურნალები, ტომი 17, გამოცემა 1, 2018 წლის აპრილი, გვერდები 29-36, <https://journals.sagepub.com/doi/epub/10.1177 / 1781685818764821>

²³ ევროკომისია, თეთრი წიგნი ხელოვნური ინტელექტის შესახებ - ევროპული მიდგომა ბრწყინვალეებისა და ნდობის შესახებ, 2020 COM (2020) 65 ფინალი; https://ec.europa.eu/info/sites/info/files/commission-white-paper-artificial-intelligence-feb2020_en.pdf

²⁴ იხილეთ, ულრიკე ფრანკე და პაოლა სარტორი, მექანიკური პოლიტიკა: ევროპა და ხელოვნური ინტელექტის რეგულაცია, 2019 წლის ივლისი, საგარეო ურთიერთობათა ევროპული საბჭო, https://www.ecfr.eu/page/-/machine_politics_europe_and_the_ai_revolution.pdf

²⁵ იხილეთ, დანიელ კასტრო, „ევროპა დარჩება უკან, თუ ის ყურადღებას გაამახვილებს ეთიკაზე და არ მიჰყვება ხელოვნური ინტელექტის განვითარების რიტმს, 2019, Euronews, <https://www.euronews.com/2019/08/07/europe-will-be-left-behind-if-it-focuses-on-ethics-and-not-keeping-pace-in-ai-development>

²⁶ იხილეთ, ევროკომისია, ხელოვნური ინტელექტის მაღალი დონის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები ხელოვნური ინტელექტის სამომავლო განვითარებისთვის, 2019, <https://www.aepd.es/sites/default/files/2019-12/ai-ethics-guidelines.pdf>

²⁷ იხილეთ უილიამ ა. გალსტონი, 2018 წლის სექტემბერი, რატომ უნდა დაეხმაროს მთავრობა ხელოვნური ინტელექტის სამომავლო ფორმირებას, <https://www.brookings.edu/research/why-the-government-must-help-shape-the-future-of-ai/>

რულად იჩენს თავს ხელოვნური ინტელექტის წარდგენისას.²⁸ იგივე გამოვლინდა კოვიდ 19 პანდემიის მიმდინარე კონტექსტშიც.²⁹ პანდემიის დროს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებამ ზოგიერთი მკვლევარი აიძულა, რომ ხმამაღლა ელიარებინა ხელოვნური ინტელექტის ეთიკის აუცილებლობა.³⁰ იუვალ ჰარარის მსგავსმა მეცნიერებმა, მსოფლიო იმ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ გააფრთხილეს, რომლებიც ტექნოლოგიებიდან მომდინარეობდა.³¹ ამრიგად, თუკი პოლიტიკოსებს სურთ, რომ უზრუნველყონ ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მისი კაცობრიობის სამსახურში ჩაყენება, ამისათვის ხელოვნური ინტელექტის ეთიკას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთის მხრიდან ეს ზედმეტ ამბიციურობად ფასდება.³²

რეგულირება

კანონი არის სისტემის შენარჩუნების ინსტრუმენტი.³³ მისი წარმოშობა და მიმართულება სხვადასხვა საკითხებია.³⁴ ყველა სხვა სფეროს მსგავსად, ხელოვნური ინტელექტიც უნდა რეგულირდებოდეს.³⁵ იერონ ვან დერ ჰეიდენის თანახმად, რეგულაცია „ცდილობს გავლენა მოახდინოს ინდივიდთა და კოლექტივთა ქცევაზე, რათა სოციალური ურთიერთობებისა და სიახლეების პროგნოზირება შესაძლებელი იყოს და ამავე დროს შეამციროს გაურკვეველობა (ბუნდოვანება), მოლოდინებისა (მაგ. წესები) და შედეგების წინასწარ დადგენის გზით (ენ ჯილდოები და ჯარიმები). ამრიგად, რეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების მრავალი სფეროსთვის - მათ შორის ეკონომიკისთვის, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემებისთვის“.³⁶

საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით, პირველ რიგში მთავრობას ევალება რეგულირების პასუხისმგებლობა.³⁷ ამასთან ერთად, საჯარო დანებებულებების გარდა, არსებობენ არასახელმწიფო სუბიექტებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ რეგულირების მექანიზმს.³⁸ მაგალითად, სხვადასხვა დონის ტექნოლოგიურ პლატფორმებზე³⁹ პროდუქტის ურთიერთქმედების კონკრეტული გარემოების

²⁸ ცხოვრების ინსტიტუტის მომავალი, ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკის გამოწვევები და რეკომენდაციები, <https://futureoflife.org/ai-policy-challenges-and-recommendations/>; Hagendorff, T., Wezel, K. 15 challenges for AI: or what AI (currently) can't do. *AI & Soc* 35, 355–365 (2020). <https://doi.org/10.1007/s00146-019-00886-y>.

²⁹ ჰუ, ჯეიკობ, ჯეი., პარკერი, ჯ.ჯეი.მ. Hu, Y., Jacob, J., Parker, G.J.M. ხელოვნური ინტელექტის მოდელის რეპრეზენტაციების გამოწვევები სწრაფად გავრცელებად პანდემიაში. *Nat Mach Intell* 2, 298–300 (2020). <https://doi.org/10.1038/s42256-020-0185-2>

³⁰ ზახორ, ა., ვითლსტონი, ჯეი., სანდარამ, ლ.. ხელოვნური ინტელექტი კრიზისულ პირობებში სასწრაფოდ საჭიროებს ეთიკას. *Nat Mach Intell* 2, 365–366 (2020 წ.) <https://doi.org/10.1038/s42256-020-0195-0>

³¹ იუვალ ჰარარი, ნაიკითხეთ სრულად იუვალ ჰარარის გაფრთხილება დავოსთან, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020 წლის იანვარი, <https://www.weforum.org/agenda/2020/01/yuval-hararis-warning-davos-speech-future-predictions/>; DW, Artificial intelligence, or the end of the world as we know it, <https://www.dw.com/en/artificial-intelligence-or-the-end-of-the-world-as-we-know-it/a-45932260-0>

³² ვიმ ნაუდე, ხელოვნური ინტელექტით მიმდინარე ალტაცებამ და ისტერია, შესაძლოა ტექნოლოგიური განვითარება ათწლეულებით შეაფერხოს, 2019 წლის 24 ივლისი, ინტერვიუ, <https://theconversation.com/ai-current-hype-and-hysteria-could-set-the-technology-back-by-decades-120514>

³³ ბერვალი, პარამჯეტი. "საკონკურსო აქტის ნაწილი 3 (5) (i) - ანალიზი." ინდოეთის ეროვნული სამართლის სკოლის მიმოხილვა, ტ. 27, no. 2, 2015, გვ. 168–184. JSTOR, www.jstor.org/stable/44283656. ნანახია 2020 წლის 11 აგვისტოს.

³⁴ ე.პ. ტომპსონი. 1975. ვიგები და მონადირეები: შავი აქტის შავი აქტი: ნიუ-იორკი. პანთეონის ნიგნები. გვერდი 259.

³⁵ იხილეთ, მარკ მაკარტი, ხელოვნურ ინტელექტს ნაკლების ნაცვლად, მეტი მეტი რეგულაცია სჭირდება, 2020 წლის 9 მარტი, ბრუკინგის ინსტიტუტი, <https://www.brookings.edu/research/ai-needs-more-regulation-not-less/>

³⁶ ვან დერ ჰეიდენი, იერონ, მარეგულირებელი ფილოსოფია, თეორია და პრაქტიკა: კა მუა, კა მური (2019 წლის 21 ოქტომბერი). ვან დერ ჰეიდენი, იერონ (2019) მარეგულირებელი ფილოსოფია, თეორია და პრაქტიკა: კა მუა, კა მური. მარეგულირებელი მმართველობის სამეცნიერო ნაშრომის თანამედროვე ტექნიკა - 2019.03. ველინგტონი: ველინგტონის ვიქტორიის უნივერსიტეტი / მთავრობის მარეგულირებელი პრაქტიკის ინიციატივა, ხელმისაწვდომია SSRN-ზე: <https://ssrn.com/ab Abstract=3473360>

³⁷ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი, კანონების შემუშავება, თემთა პალატა, <https://www.parliament.uk/documents/commons-information-office/Brief-Guides/Making-Laws.pdf>

³⁸ იხილეთ Hutter, Bridget M. (2006) არასახელმწიფო სუბიექტების როლი რეგულირებაში. CARR სადისკუსიო ნაშრომები (DP 37). რისკისა და რეგულირების ანალიზის ცენტრი, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.

³⁹ ევროკომისია, ინდუსტრია აქვეყნებს სახელმძღვანელო მითითებებს ელექტრონული კომერციის მომავალი ფორ-

დასარეგულირებლად, ინდუსტრიას შეეძლო გარკვეული სტანდარტების შემუშავება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტები, გადამწყვეტ როლს ასრულებენ აღნიშნული რეგულირების პროცესში. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ სიტუაციებში, კერძო სექტორი უფრო ეფექტურად არეგულირებს სახელმწიფო საქმიანობის სფეროს, ვიდრე ამას თავად სახელმწიფოს წარმომადგენლები ასწავლებენ.⁴⁰ კორპორაციების როლი სცილდება მოგების მაქსიმიზაციას და ახლა გლობალურ მმართველობას უერთდება.⁴¹ როდესაც საქმე ხელოვნური ინტელექტის მართვას ეხება, ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ როგორ შეიძლება იყოს რეპრეზენტირებული არაეკონომიკური კერძო სუბიექტების⁴² პროცესში ჩართულობა.⁴³ არსებობენ გარკვეული ინსტიტუტები, რომლებიც მსხვილი ტექნოლოგიების მიერ მნიშვნელოვნად ფინანსდებიან. ბიზნესმენები ხელოვნური ინტელექტის ეთიკის კვლევებს აფინანსებენ.⁴⁴ მსხვილი ტექნოლოგიები, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის ეთიკის გარშემო არსებულ დებატებსაც აფინანსებენ.⁴⁵

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი საკითხების შესწავლა. ითვისებენ თუ არა კერძო სუბიექტები მმართველობის იმ საქმეს, რომელიც უნდა სუვერენულ სახელმწიფოებს ეკისრებოდნენ?⁴⁶ უპირისპირდება თუ არა მსხვილი ტექნოლოგიები სუვერენულ სახელმწიფოებს, მაშინ როდესაც საქმე ყოველდღიური ცხოვრების გარკვეული ასპექტების მმართველობასა და კონტროლს ეხება?⁴⁷ გამოიწვევს თუ არა ტექნოლოგიური წინსვლა ეროვნული სახელმწიფოების დასრულებას და სუვერენიტეტის მათზე გადაცემას?⁴⁸ იჭრება თუ არა კერძო სექტორი სახელმწიფო მმართველობის სფეროში, ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეფექტური კონტროლით?⁴⁹ მოცემული სტატია განზრახ არ წამოჭრის დისკურსს აღნიშნული საკითხის მიმართ.

თვითრეგულირება სულ უფრო მეტად ჭარბობს იმ სფეროებში, რომლებიც რამდენიმე მიზეზის გამო სახელმწიფო მმართველობაში, პრობლემურად განიხილება. ტექნოლოგია, აშკარა ფორმით, ერთ-ერთ

მირებისთვის, 1998 წლის თებერვალი, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_98_196; ჯედიდია ბრაი-სი, იქნება ინდუსტრიის თვითრეგულირება კონფიდენციალურობის წინ გადადგმული ნაბიჯი? IAPP.ORG, 2014 წლის ივნისი, <https://iapp.org/news/a/will-industry-elf-regulation-be-privacys-way-forward/>

⁴⁰ იხილეთ სკოტი, კოლინი. "საჯარო სექტორის კერძო რეგულირება: თანამედროვე მმართველობის უგულვებლყოფილი სახე". *ჟურნალი სამართალი და საზოგადოება*, ტ. 29, no. 1, 2002, გვ. 56–76. JSTOR, www.jstor.org/stable/4489081. ნანახია 2020 წლის 9 აგვისტოს.

⁴¹ შერერი, ანდრეას გეორგი, გვიდო პალაცო და დოროთე ბაუმანი. "გლობალური წესები და კერძო სუბიექტები: ტრანსნაციონალური კორპორაციის ახალი როლისკენ გლობალურ მმართველობაში". *ბიზნესის ეთიკის კვარტალური გამოშვება* 16, No. 4 (2006): 505–32. ნანახია 2020 წლის 9 აგვისტოს. www.jstor.org/stable/3857794 ; აგრეთვე Larry Cata Backer, კერძო სუბიექტები და სახელმწიფო მმართველობა ქვეყნის მიღმა: მრავალეროვნული კორპორაცია, ფინანსური სტაბილურობის საბჭო და გლობალური მმართველობის ბრძანება, 18 *Ind. J. Intl L.* 751 (2011).

⁴² იხილეთ, კლაუს დიტერ ვულფი, პროექტი, კერძო სუბიექტები და სახელმწიფოს მიღმა მმართველობის ლეგიტიმურობა, 2001 წ., ECPR ვორკშოპების ერთობლივი სესიები, გრენობლი, 6-11 აპრილი, 2001 წ., (გვერდი 1) *PaperProposal / Ofa1430c-fda3-465d-8cdc-8a9d8abf66e2.pdf*

⁴³ ნაიკითხეთ, ხელოვნური ინტელექტის რეგულაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციის შესახებ, აიანა ჰოვარდი, ხელოვნური ინტელექტის რეგულაცია - უნდა შეფოთდნენ ორგანიზაციები? *MIT Sloan Management Review*, 29 ივლისი, 2019, <https://sloanreview.mit.edu/article/the-regulation-of-ai-should-organizations-be-worried/>

⁴⁴ ჯესიკა კარპანი, ოქსფორდის უნივერსიტეტმა აშშ მილიარდერს 150 მილიონი ფუნტი სტერლინგი მისცა, რომ ყველაზე დიდი შემონიშნულობის დახმარებით ხელოვნური ინტელექტი გამოიკვლიოს, 2019 წლის ივნისი, *The Telegraph*, <https://www.telegraph.co.uk/news/2019/06/19/oxford-university-gvnn-150m-us-billionaire-found-ai-institute/>

⁴⁵ ოსკარ უილიამსი, როგორ აფინანსებენ მსხვილი ტექნოლოგიური კორპორაციები ხელოვნური ინტელექტის შესახებ დებატებს. 2019 წლის ივნისი, *New Statesman*, <https://www.newstatesman.com/science-tech/technology/2019/06/how-big-tech-funds-debate-ai-ethics>

⁴⁶ შელერი, სიუზანი: კერძო მმართველობის დემოკრატიული ლეგიტიმურობა. ეთიკური ვაჭრობის ინიციატივის ანალიზი. დუისბურგი: განვითარებისა და მშვიდობის ინსტიტუტი, დუისის ბურგენის ესენეს უნივერსიტეტი (INEF ანგარიში, 91/2007), <https://core.ac.uk/download/pdf/71735042.pdf>

⁴⁷ ტომ ფეირლესი, აშშ – ს ტექნიკური გიგანტები ბრძოლას ევროპის სუვერენულ სახელმწიფოებზე, 2014, *The Wall Street Journal*, <https://www.wsj.com/articles/europe-vs-u-s-tech-giants-1418085890>

⁴⁸ იხილეთ, ჯილს ბაბინეტი, ნაწილი 1: ტექნოლოგიით გამოწვეული სუვერენიტეტის ტრანსფერები, *Novmeber* 2018, *Institute Montaigne*, <https://www.institutmontaigne.org/en/blog/end-nation-states-part-1-technology-induced-sovereignty-transfers>

⁴⁹ იხილეთ, ტანია ფილერი, რა როლი უნდა ითამაშოს კერძო სექტორმა მთავრობისთვის ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში?, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018 წლის ივნისი, <https://www.weforum.org/agenda/2018/06/developing-ai-for-government-what-role-and-limits-for-the-private-sector>

ასეთ სფეროდ იქცა.⁵⁰ ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პოლიტიკოსები არაკვალიფიციურები არიან ტექნოლოგიის რეგულირებისათვის.⁵¹ ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მსხვილი ტექნოლოგიების შემთხვევაში თვითრეგულირებამ არ გაამართლა.⁵² სახელმწიფო მმართველები ამას კარგად ხვდებიან.⁵³ სხვები კი ფიქრობენ, რომ მონოპოლური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, არანაირი რეგულაცია საჭირო არ არის და სწორედ რეგულაციის არ არსებობაა ამის საუკეთესო გზა.⁵⁴ საკითხი იმის შესახებ, უნდა დარეგულირდეს, თუ არა ხელოვნური ინტელექტი, მართლაც ვრცელი და აქტუალურია.⁵⁵

კონკრეტულ სფეროში სადაც საჭიროა კონტროლის განხორციელება, მარეგულირებლის შეხედულებისამებრ ხელმისაწვდომია რამდენიმე ინსტრუმენტი. ეს შეიძლება იყოს კანონი, დებულებები, სასამართლოს განჩინებები, ლიცენზირება, სტანდარტები, დებულებები, ცნობები, შენიშვნები, მითითებები, წესები, პრაქტიკის კოდექსი, ეთიკა, ცირკულარები, შეტყობინებები და მრავალი სხვა. განსხვავდება ამ ინსტრუმენტების ხასიათი, მოქმედების სფერო და ეფექტურობა. არჩევანს განაპირობებს გადაწყვეტილების მიმღებთა მიზნები.⁵⁶ თუმცა, ტექნოლოგიის სფეროში, ნორმათა განსაზღვრის თანდაყოლილი პრობლემა არსებობს.

ხელოვნური ინტელექტის რეგულირების პრობლემა

ტექნოლოგია განსაზღვრული სახით, გავლენას ახდენს ადამიანის არსებობაზე.⁵⁷ ის, თუ როგორ ვითარდება ხელოვნური ინტელექტი, შესანიშნავად შეიძლება რომ სპეკულირდეს მეცნიერულ დონეზე. როგორც სტივენ ჰოუკინგმა თქვა, „ხელოვნური ინტელექტის შექმნაში წარმატების მიღწევა, უდიდესი მოვლენა იქნება კაცობრიობის ისტორიაში. სამწუხაროდ, ეს, ასევე, შეიძლება იყოს უკანასკნელიც, თუკი, არ ვისწავლით, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან მასთან დაკავშირებული რისკები“.⁵⁸ როდესაც საქმე ეხება ხელოვნური ინტელექტის მორალური/ზნეობრივი სურათის განხილვას, წარმოსახვა აუცილებელი ხდება.⁵⁹ ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა კიდევ უფრო მეტ გამონევეებს უქმნის ნორმების განმსაზღვრელ ინსტიტუტებს.⁶⁰ ტექნოლოგიის გაუმჯობესებისთანავე,

⁵⁰ Google, პერსპექტივები ხელოვნური ინტელექტის მმართველობის საკითხებზე, (გვერდი 6) <https://ai.google/static/documents/perspectives-on-issues-in-ai-governance.pdf>

⁵¹ იხილეთ შირა ოვიდე, კონგრესი არ იღებს დიდ ტექნიკას. დიზაინის მიხედვით. The New York Times, 2020 წლის 29 ივლისი, <https://www.nytimes.com/2020/07/29/technology/congress-big-tech.html>

⁵² ლიზა ქვესტი და ენტონი ჩარი, 2019 წლის 19 სექტემბერი, ტექნიკური ინდუსტრიის რეგულირების სწორი გზა, MIT Sloan Management Review,

<https://sloanreview.mit.edu/article/right-way-to-reg-reg-the-tech-industry/>

⁵³ ცოდნა Wharton- ში, მსხვილი ტექ- ის მარეგულირებელი: დგება ანგარიშგების დღე? 2019 წლის ივნისი, <https://knowledge.wharton.upenn.edu/article/regulating-big-tech-is-a-day-of-reckoning-coming/>

⁵⁴ ჯონ ტორნჰილი, მსხვილი ტექ.- ის არარეგულირების საქმე, 2019 წლის ივნისი, Financial Times, <https://www.ft.com/content/481cc624-8b58-11e9-a1c1-51bf8f989972>

⁵⁵ იხილეთ სტროუს ლ. (2019) უნდა იყოს რეგულირებული ხელოვნური ინტელექტი მეტად რეგულირებული? In: Strous L., Cerf V. (eds) Internet of Things. ინფორმაციის დამუშავება სულ უფრო მეტად დაკავშირებულ ია სამყაროში. IFIPoT 2018. IFIP მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, ტომი 548. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-15651-0_4; Future of Life Institute, Op-ed: უნდა რეგულირდებოდეს ხელოვნური ინტელექტი?, 2017 წლის ივლისი, <https://futureoflife.org/2017/07/27/should-artificial-intelligence-be-regulated/>

⁵⁶ გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში მიზნების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, Krantz, D. H., & Kunreuther, H. (2007). გადაწყვეტილებები და მიზნები. განაჩენი და გადაწყვეტილების მიღება, 2 (3), 137-168. ამოღებულია http://repository.upenn.edu/oid_papers/253

⁵⁷ იხილეთ ბორგმან, ა. (1984). ტექნოლოგია და თანამედროვე ცხოვრების ხასიათი: ფილოსოფიური გამოკვლევა. Chicago, IL: ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა.

⁵⁸ სტივენ ჰოუკინგი, სტიუარტ რასელი, მაქს ტეგმარკი, ფრენკ ვილჩეკი, სტივენ ჰოუკინგი: (ტრანსცენდენტული უყურებს ხელოვნური ინტელექტის შედეგებს - მაგრამ რამდენად სერიოზულად ვუყურებთ ხელოვნურ ინტელექტს?) დამოუკიდებელი, 2014 წლის 1 მაისი,

<https://www.independent.co.uk/news/science/stephen-hawking-transcendence-looks-at-the-imercations-artificial-intelligence-but-are-we-we-taking-9313474.html>

⁵⁹ იხილეთ მარკ კოკელბერგი, ფანტაზია და პრინციპები, ნარკვევი ფანტაზიის როლის შესახებ მორალურ მსჯელობაში, 2007, პალგრევი მაკმილანი.

⁶⁰ იხილეთ კეთი, კორინ. "ხელოვნური ინტელექტის მართვა: ეთიკური, იურიდიული და ტექნიკური შესაძლებლობები და გამონევეები." ფილოსოფიური გარიგებები. სერია A, მათემატიკის, ფიზიკისა და ინჟინერიის მეცნიერებათა ტომი. 376,2133 20180080. 2018 წლის 15 ოქტომბერი, დოი: 10.1098 / rsta.2018.0080

იგი გამოიყენება არა მხოლოდ ადამიანების გამოსაკვლევად⁶¹ და მათი ქცევის მანიპულირებისათვის,⁶² არამედ ხალხს უფლებას აძლევს,⁶³ რომ არატრადიციული ქცევები გამოავლინონ. ტექნოლოგია, ფაქტობრივად ხალხს საშუალებას აძლევს, რომ მათ ხელი ისეთ ინსტრუმენტებზე მიუწვდებოდეთ, რაც აქამდე შეუძლებელი იყო, იმისათვის რომ მიაღწიონ იმას, რისი გაკეთებაც აქამდე არ შეეძლოთ.⁶⁴ ეს არა მხოლოდ ზრდის ადამიანის ინტერფეისის არეალს ერთმანეთთან და სისტემის დინამიკასთან მიმართებაში, არამედ არსებითად ცვლის აღნიშნული ინტერფეისის ხასიათს. ადამიანის განვითარებად/ცვალებად ქცევას, ცვლილებები მოაქვს საზოგადოების ზოგად სისტემურ ფუნქციონირებაში. ეს კი მარეგულირებელ მექანიზმში ცვლილებების შეტანას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს სოციალური ურთიერთობებისა და საქმეების კონტროლს, რაც იქამდე არ არსებობდა. ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის სფეროში, ნორმების შემუშავების პროცესი, საკმაოდ ფრთხილი საკითხია. კანონი უნდა დაენიოს ტექნოლოგიურ ჩარევებს, რათა შედეგად მივიღოთ ცვლილებები ადამიანებში და გარე სამყაროსთან მათ ურთიერთქმედებებში, კანონის ან საზოგადოების წესების განმაპირობებელი ინსტიტუტების დახმარებით. ტექნოლოგია გზას უხსნის ადამიანის პოტენციალს.⁶⁵ ოდესმე ხელოვნური ინტელექტი ადამიანს დაემსგავსება?⁶⁶ ამჟამად ჩვენ არ გვაქვს ხელოვნური ზოგადი ინტელექტი⁶⁷ ან ცნობიერი⁶⁸ ხელოვნური ინტელექტი. ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ ისეთი მანქანების შექმნის შესაძლებლობა, რომლებსაც ფიქრის უნარი ექნებათ, ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის ეთიკის პრობლემების გადაჭრას.⁶⁹ ხელოვნური ინტელექტის ეთიკა მზადაა გადავიდეს რეგულირების მთავარ ეტაპზე.

ხელოვნური ინტელექტის ეთიკა⁷⁰

ასიმოვის რობოტიკის სამ კანონს სშირად განიხილავენ, როგორც ხელოვნური ინტელექტის ეთიკის პოპულარულ საფუძველს.⁷¹ დევიდ ლესლის თანახმად, „ხელოვნური ინტელექტის ეთიკა წარმოადგენს ღირებულებებს, პრინციპებსა და ტექნიკას, რომელიც იყენებს საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს სწორისა და არასწორის შესახებ იმისათვის რომ მორალური ქცევა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებაში წარმართოს.⁷² ევროპარლამენტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „ეთიკა წარმოადგენს მორალური პრინციპების ერთობლიობას, რაც არეგულირებს ადამიანის ქცევას

⁶¹ ზუბოფი, შოშანა. სათვალთვალ კაპიტალიზმის ხანა: ბრძოლა მომავლისთვის ძალაუფლების ახალ საზღვარზე. London: Profile Books, 2018 წ.

⁶² იხილეთ ემილია გომესი, კომპიუტერული ინტელექტის გავლენის შეფასება ადამიანის ქცევაზე: ინტერდისციპლინარული მცდელობა, ევროკომისია, JRC კონფერენცია და სამუშაო შეხვედრები, 2018, <https://arxiv.org/pdf/1806.03192.pdf>

⁶³ ერიკა ნაონე, ტექნოლოგიების გაძლიერება განვითარებადი სამყაროსთვის, MIT ტექნოლოგიის მიმოხილვა, 2007, <https://www.technologyreview.com/2007/09/24/223740/empowering-technologies-for-the-developing-world/>; აქცენტურება, ხელოვნური ინტელექტის მიმოხილვა, ახალი ზელანდია, <https://www.accenture.com/nz-en/topic-accenture-government-artificial-intelligence>

⁶⁴ ჟენგ იან, რუი გასპარ, ტინგზაო ჟუ, განვითარებადი ტექნოლოგიები, ადამიანის ქცევა და განვითარებადი ტექნოლოგიები, ტომი 1, გამოცემა 1

⁶⁵ დელის ტექნოლოგიები, მაიკლ დელი, თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი, <https://corporate.delltechnologies.com/en-ie/about-us/leadership/michael-dell.htm>

⁶⁶ კაროლინ ბლეი, როდის იქნება ხელოვნური ინტელექტი საკმარისად ჭკვიანი, რომ ხალხს აჯობოს? <https://engineering.mit.edu/engage/ask-an-engineer/when-will-ai-be-smart-enough-to-outsmart-people/>

⁶⁷ Goertzel, B. and Pennachin, C. (რედ.) (2007). ხელოვნური ზოგადი დაზვერვა. ბერლინი: სპრინგერი.

⁶⁸ ჩალმერსი, დევიდ ჯ. (1996). ცნობიერი გონება: ფუნდამენტური თეორიის ძიებაში. New York: Oxford University Press

⁶⁹ Bostrom, N., & Yudkowsky, E. (2014). ხელოვნური ინტელექტის ეთიკა. K. Frankish & W. Ramsey (რედ.), კემბრიჯის ხელოვნური ინტელექტის სახელმძღვანელო (გვ. 316-334). კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა. დოი: 10.1017 / CBO9781139046855.020

⁷⁰ ბოსტრომ, ნიკ და ელიეზერ იუდკოვსკუ, 2014, «ხელოვნური ინტელექტის ეთიკა», კემბრიჯის ხელოვნური ინტელექტის სახელმძღვანელოში, კიტ ფრანკიშისა და უილიამ მ რემზის რედაქტორობით, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 316-334. დოი: 10.1017 / CBO9781139046855.020

⁷¹ ასიმოვი, ი. (1942). რუნდი. გასაოცარი სამეცნიერო ფანტასტიკა, მარტი 94-103.

⁷² ლესლი, დევიდ (2019). ხელოვნური ინტელექტის ეთიკისა და უსაფრთხოების გაცემა: სახელმძღვანელო საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის სისტემების პასუხისმგებლობის შემუშავებისა და დანერგვისთვის. ალან ტურინგის ინსტიტუტი. <https://doi.org/10.5281/zenodo.3240529>

ან საქმიანობას.⁷³ ევროპარლამენტის თანახმად, "ხელოვნური ინტელექტის ეთიკა უკავშირდება მნიშვნელოვან საკითხს, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ დეველოპერები, მწარმოებლები და ოპერატორები, რათა შეამცირონ ის ეთიკური ზიანი, რომელიც შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტისგან საზოგადოებაში წარმოიშვას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს არაეთიკური დიზაინის, ან მისი ბოროტად გამოყენებით. ხელოვნური ინტელექტის ეთიკის სფერო მოიცავს აქ-და-ახლა შეშფოთებას, მაგალითად მონაცემთა კონფიდენციალურობის და ხელოვნური ინტელექტის სისტემებში მიკერძოებულობის შესახებ; საშუალოვადიან საზრუნავს, მაგალითად, სამსახურებსა და სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის გავლენის შესახებ და გრძელვადიან შეშფოთებას, იმის შესახებ, რომ ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემებმა არ მიაღწიონ ან არ გადააჭარბონ ადამიანის ექვივალენტურ შესაძლებლობებს (ე.წ. სუპერინტელექტუალობა)".⁷⁴ თუკი ხელოვნური ინტელექტის ეთიკა არსებითად მნიშვნელოვანია, ასევე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ის, ვინ და რა მიზეზით ახდენს გავლენას მათ დამკვიდრებაზე.

კანონპროექტების შემუშავება ხორციელდება საკანონმდებლო ორგანოების უფლებამოსილების ფარგლებში, ეთიკა, როგორც წესი, განვითარებულია შესაბამისი დარგების მიერ. რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტს, კანონის შემუშავება აქ რამდენიმე დაბრკოლებას აწყდება. ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტექნოლოგიებს სფეროში დესტრუქციის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, რაც უკვე აქამდეც ითქვა. ტექნოლოგია მუდმივად იცვლება და ძალიან სწრაფად პროგრესირებს. აქედან გამომდინარე, კანონის შემქნელი მექანიზმებისათვის რთულდება მასთან ფეხის აწყობა. მთავრობის შესაბამისი მიღწევები კანონმდებლობის სფეროში, ყოველთვის ჩამორჩება ტექნოლოგიურ განვითარებას. შესაძლებელია იმაზე საუბარიც რომ, ტექნოლოგიური ლანდშაფტის კონკრეტული გზით სტაბილიზაციის შემდეგ, რეგულაციები არ უნდა იყოს ზედმეტად სპეციფიკური, იქამდე, სანამ დეტალური კანონები არ შემუშავდება. მართალია, ტექნოლოგიურ კონტექსტში მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად, წინასწარი განსაზღვრულობა საჭიროებას არ წარმოადგენს, თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ძირითადი მითითებების შემუშავება შესაძლებელია, რათა სათანადო მიმართულება მიეცეს ხელოვნური ინტელექტის განვითარებასა და დანერგვას. ხელოვნური ინტელექტის წინსვლა ტექნოლოგიაში, მხოლოდ მექანიკური პროცესი არაა, არამედ მისი გამოყენება მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ადამიანის არსებობის თითოეულ ასპექტზე. ეს ცვლილებები არათანმიმდევრული და არასწორხაზოვანია. ინტერფეისი ხელოვნურ ინტელექტსა და საზოგადოებას შორის სრულიად განსხვავებული განზომილებებით ვითარდება, რასთანაც საქმე კაცობრიობას ჯერ არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფრის გააზრება გამოიწვევს აბსოლუტურად გასხვავებული მიდგომის მიღებას, ყოველი ახალი განზომილების გამოკვეთისა და განხილვისას. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუკი ვიტყვი, რომ კანონმდებლობის შემუშავება დროებით შეჩერდა და ყურადღება გამახვილდა ხელოვნური ინტელექტის ეთიკაზე.⁷⁵ მიუხედავად ამისა, პერიოდულად ვრცელდება რამდენიმე კანონი, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის სფეროს სხვადასხვა ასპექტებს ეხება.⁷⁶ მთავრობებს გამუდმებით სთავაზობენ ახალ იდეებს ხელოვნური ინტელექტის აქტიური რეგულირების მიზნით.⁷⁷ ამ ეტაპზე კი მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა განაპირობებს ამგვარი „მოძრაობის“ მიდრეკილებას ხელოვნური ინტელექტის ეთიკისაკენ.

მამოძრავებელი ძალა ხელოვნური ინტელექტის ეთიკის მიღმა

⁷³ ევროპარლამენტი, ხელოვნური ინტელექტის ეთიკა: საკითხები და ინიციატივა. 2020 წლის მარტი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მომავლის კოლეგიის კვლევა, ევროპის საპარლამენტო კვლევა, ხელმისაწვდომია მისამართზე: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/634452/EPRS_STU\(2020\)634452_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/634452/EPRS_STU(2020)634452_EN.pdf)

⁷⁴ ევროპარლამენტი, ხელოვნური ინტელექტის ეთიკა: საკითხები და ინიციატივა. 2020 წლის მარტი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მომავლის კოლეგიის კვლევა, ევროპის საპარლამენტო კვლევა, ხელმისაწვდომია: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/634452/EPRS_STU\(2020\)634452_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/634452/EPRS_STU(2020)634452_EN.pdf)

⁷⁵ სხვა პერსპექტივისთვის იხილეთ Fenwick, Mark D.; კალი, ვულფი ა. დოქტორი; და ვერმეულენი, ერიკ პ.მ. «რეგულაცია ხვალ: რა ხდება, როდესაც ტექნოლოგია უფრო სწრაფია, ვიდრე კანონი?», ამერიკის უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, ტ. 6, No3 ().

ხელმისაწვდომია: <http://digitalcommons.wcl.american.edu/aublrvol6/iss3/1>

⁷⁶ ვოლჩი, ხელოვნური ინტელექტის კანონები მოდის, Forbes, 2020 წლის თებერვალი, <https://www.forbes.com/sites/cognitiveworld/2020/02/20/ai-laws-are-coming/#994a52ca2b48>

⁷⁷ Sabine Gerdon, Valesca Molinari, როგორ შეუძლიათ მთავრობებს გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვები ხელოვნური ინტელექტის რეგულირების მომავლის შესადგენად - და ინოვაციებისა და ზრდის გასაძლიერებლად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020 წლის ივნისი, <https://www.weforum.org/agenda/2020/06/artificial-intelligence-ai-government-procurement-standards-regulation-economic-growth-covid-19-response/>

არასამთავრობო ორგანიზაციების, არასამთავრობო და კერძო სექტორების მიერ ხელოვნური ინტელექტის ეთიკა ჩვეულებრივ ვითარდება.⁷⁸ სწორედ, ამ სუბიექტებს შემოაქვთ მითითებები, რომ ეს ვალდებულება სხვადასხვა მიზეზით ზოგად ინდუსტრიას დააკისრონ. ზოგიერთი მიზეზი შემდეგნაირია: რეგულირებისა და მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემები; ახალი საკითხებისა და გამოწვევების არსებობა, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას; მთავრობის მხრიდან რეგულირების თავიდან აცილების ან შეფერხებისაკენ მიდრეკილება თვითრეგულირების გზით;⁷⁹ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები; გადაუდებელი აუცილებლობა, ხელოვნური ინტელექტის მიმართულების შესაბამისობაში მოყვანა, დემოკრატიის, მორალის გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებთან; მომავლის უზრუნველყოფა ანთროპოცენტრული პერსპექტივიდან და სხვა. დიდ კორპორაციებსა და მსხვილ ტექნოლოგიებს მეტი დრო აქვთ რეგულაციების შემუშავებისა.⁸⁰ ამის დასტურს წარმოადგენს, ბოლო მოსმენა 2020 წლის ივლისში, აშშ-ს კონგრესამდე.⁸¹ ამასთან ერთად, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მსხვილი ტექნოლოგიები, რომლებიც მეტ რეგულირებას მოითხოვს, ამადროულად არის მეტი ენერჯის მიტაცების მცდელობაც.⁸² რეგულაციებს თან ახლავს თავისი ხარჯებიც⁸³ და მსხვილი ტექნოლოგიები საკმარისად ძლიერები არიან იმისათვის, რომ ეს ხარჯები გაიღონ. ბაზრის სხვა, უმნიშვნელო მოთამაშეები ვერ იტანენ რეგულაციებით გამოწვეულ ხარჯების ზრდას. თავისუფალი ბაზრის პრინციპები იზღუდება, როდესაც რეგულაციების სიჭარბე ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს ტვირთავს. ზოგიერთ წარმომადგენელს ეჭვიც კი ეპარება მსხვილი ტექნოლოგიებისა და მთავრობის თანამშრომლობაში.⁸⁴

გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული რეგულაცია მიმართულია კონკრეტული მიზნისაკენ, აქტუალურია იმის გაგებაც, თუ რა უდევს წინ ხელოვნური ინტელექტის რეგულირებას და როგორ ხდება ეს. ნებისმიერ საზოგადოებაში ეკონომიკა ჰქმნის სისტემური მართვის საფუძველს. ამრიგად, ეკონომიკა⁸⁵ და მმართველობა,⁸⁶ ნებისმიერი საზოგადოების ორ ყველაზე მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ სტრუქტურას წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოების წევრებზე გავლენის მოხდენა, ინსტიტუტების ფუნქციონირება, მათი ქმედება და განვითარება, შენიღბულია აღნიშნული მიმართველობით. ის ძირითადი ძალა, რომელიც საზოგადოების მექანიზმს აშუშავებს, ეკონომიკური ხასიათის მატარებელია. ადამიანის არსებობის კონტექსტში, მოქმედება პოლიტიკის გამტარებელ სუბიექტებს ეკუთვნით, რომლებიც გადაწყვეტილებებს მათი მიზნების შესაბამისად იღებენ.

⁷⁸ პარამჯეეტ სინ ბერვალი, რა განაპირობებს ხელოვნურ ინტელექტს და მის პოლიტიკას? მოგება თუ ინდივიდუალური / სოციალური კეთილდღეობა ?, აცნობეთ მომავალ ბოგს, 2020 წლის 19 ივნისი, <https://informthefuture.wordpress.com/2020/06/19/what-drives-ai-ai-policy-profits-or-individual-social-welfare/>

⁷⁹ როდრიგო ოჩიგამე, «ეთიკური ხელოვნური ინტელექტის გამოგონება, «ინტერპრეტაცია», 2019 წლის 20 დეკემბერი, <https://theintercept.com/2019/12/20/mit-ethical-ai-artificial-intelligence/>

⁸⁰ ნაომი ო'ლირი, Facebook- ის ცუკერბერგი ითხოვს დიდი ტექნოლოგიის უფრო მეტად რეგულირებას, The Irish Times, 2020 წლის 18 მაისი,

<https://www.irishtimes.com/business/technology/facebook-s-zuckerberg-calls-for-more-reg-of-big-tech-1.4256579>

⁸¹ Huffington Post, მსხვილი ტექ.კომპანიების გენერალური დირექტორების წინაშე ანტიმონოპოლური მოსმენა კონგრესში, 2020 წლის 29 ივლისი, https://www.youtube.com/watch?v=XIC1Nkdu1_A

⁸² არჯუნ ხარპალი, მსხვილი ტექ. კომპანიები უფრო მეტი რეგულირების სანაცვლოდ, მეტი სიმძლავრისაკენ მოუწოდებენ, CNBC, 2020 წლის იანვარი, <https://www.cnbc.com/2020/01/28/big-techs-calls-for-ai-regulation-could-lead-to-more-power.html>

⁸³ კონკურენტული სანარმოების ინსტიტუტი, რეგულირებისა და ინტერვენციის ღირებულება, 2018 წლის აპრილი, <https://cei.org/10KC/> თავი 3; ოლივერ სმიტი, GDPR რეკეტი: ვინ შოულობს ფულს ამ 9 მილიარდიანი დოლარის ბიზნეს შერევით, <https://www.forbes.com/sites/oliversmith/2018/05/02/the-gdpr-racket-whos-making-money-from-this-9bn-business-shakedown/#1896fcb434a2>

⁸⁴ ფრანკლინ ფორი, რა სურს პანდემიისგან მსხვილ ტექნოლოგიას, 2020 წლის ივლისი / აგვისტო, <https://www.theatlantic.com/magazine/archive/2020/07/big-tech-pandemic-power-grab/612238/>

⁸⁵ კარლ მარქსი, წინასიტყვაობა პოლიტიკური წვლილის ეკონომიკის კრიტიკაში (მოსკოვი, პროგრესის გამომცემლები მოსკოვი, 1977)

⁸⁶ ბევერი, მ. (2012). მმართველობა: ძალიან მოკლე შესავალი. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა.

ხელოვნური ინტელექტის სუბიექტები

